



NOVA FIX

შპს ნოვა ფიქსი  
ს/ნ 445610385

თარიღი: 26.07.2024

№ ნ/ფ 26.07.2024-01

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

შპს „ნოვა ფიქსი“-ს (ს/ნ 445610385) დირექტორი ზაქარია ხიზანაშვილი

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. თბილისში, სამრეწველო ზონაში (დავით გურამიშვილის გამზირი N 188) შპს „ნოვა ფიქსი“-ს (ს/ნ: 445610385) მიერ დაგეგმილია პლასტიკური მასალის საწარმოო ობიექტისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაცია. საპროექტო საწარმო უზრუნველყოფს წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოებას, რეალიზაციას და წუნდებული პოლისტიროლის აღდგენას.

ვინაიდან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, პლასტიკური მასალის წარმოება და ნარჩენების აღდგენა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებად მიიჩნევა. 2023 წლის სექტემბერში შემუშავდა წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება, რომელიც 2023 წლის 26 სექტემბერს განსახილველად წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 24 ოქტომბრის N580/ს ბრძანების შესაბამისად მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება და საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ნოვა ფიქსი“ დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით შპს „ნოვა ფიქსი“ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარდგენა. 2024 წლის 7 ივნისს პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N 290/ს ბრძანების შესაბამისად გაიცა სკოპინგის დასკვნა N33. სააგენტოს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო  
29.07.2024წ.  
№ 4695

N 290/ს ბრძანების მე 2 პუნქტის თანახმად შპს „ნოვა ფიქსი“ ვალდებულია უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ-ის) ანგარიშის მომზადება, N33 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად.

მოცემულ ეტაპზე, შპს „ნოვა ფიქსი“ უზრუნველყო გზმ-ის ანგარიშის შემუშავება, რომელიც სრულ თანხვეადრაშია როგორც მოქმედი კანონმდებლობით („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მე-10 მუხლი). ისე N33 სკოპინგის დასკვნით დადგენილ მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული (სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ) ბრძანების და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე 11 მუხლის საფუძველზე, განხილვისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგინთ - შპს „ნოვა ფიქსი“-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

**დანართები:**

მატერიალური და ელექტრონული დანართები.

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიში, შესაბამის დანართებთან ერთად - ერთი ეგზემპლარი;
2. არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი;
3. ატმოსფერულ ჰაერში მკვლე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ) - ორი ეგზემპლარი;
4. ნარჩენების მართვის გეგმა - ერთი ეგზემპლარი;
5. გზმ-ის მოსაკრებელი - ერთი ეგზემპლარი;

ელექტრონული დანართები:

1. Shp ფაილები;

პატივისცემით,

შპს „ნოვა ფიქსი“-ს

დირექტორი ზაქარია ხიზანაშვილი



საკონტაქტო ინფორმაცია:

ლია ბოლქვაძე

ელ. ფოსტა L.bolkvadze@nova.ge

ტელ: 568 40 77 55